საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/37 "15" აპრილი 2025 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის შემდგომ ეტაპზე კანდიდატის გადასვლის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებისა და ამ განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შედეგად,

ა) შემდგომ ეტაპზე გადავიდა კანდიდატი არჩილ კოჭლამაზაშვილი (89,55%);

ბ) შემდგომ ეტაპზე ვერ გადავიდნენ შემდეგი კანდიდატები:
ბ.ა) მიხეილ ჯინჯოლია (88,82%)
ბ.ბ) ეკატერინე კულულაშვილი (88.00%)
ბ.გ) ლაშა თავართქილაძე (87,55%)
ბ.დ) ლიანა კაჟაშვილი (86,91%).

2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[3] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საჩივარი წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12) ამ განკარგულების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი